

შპს „სთილ კომპანი“,
(ს/ნ 412776483)

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3.1 ფინანსური ინსტრუმენტები	6
3.2 ძირითადი საშუალებები	7
3.3 არამატერიალური აქტივები	8
3.4 მარაგები	8
3.5 შემოსავლები	8
3.6 ხარჯების აღიარება	8
3.7 დაბეგვრა	8
4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
6. პირობითი ვალდებულება	10
7. განმარტებითი შენიშვნები	10
8. რისკების მიმოხილვა	12

შპს „სტილ კომპანი“, (ს.ნ. 412776483)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	2024	2023
გრძელვადიანი აქტივი		
ძირითადი საშუალებები	104 087	39 337
გრძელვადიანი აქტივი სულ	104 087	39 337
მოკლევადიანი აქტივი		
მიმდინარე მარაგი	4 011 209	3 282 777
გადახდილი ავანსი	85377	1 201 260
სავაჭრო მოთხოვნა	1 696 767	1 044 942
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	566 597	86 793
სხვა მიმდინარე აქტივები	1 000	0
მოკლევადიანი აქტივი სულ	6 361 095	5 615 772
აქტივი სულ	6 465 037	5 655 109
კაპიტალი		
დაგროვილი მოგება ზარალი	2 201 652	789 170
კაპიტალის სხვა კომპონენტები	329 935	326 000
კაპიტალი სულ	2 531 587	1 115 170
მოკლევადიანი ვალდებულება		
საგადასახადო ვალდებულება	172 568	216 841
საპენსიო ვალდებულება	501	584
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	0	0
მიღებული ავანსი	37 956	7 907
პერსონალის მიმართ ვალდებულება		2 000
სავაჭრო ვალდებულება	3 722 425	4 312 607
მოკლევადიანი ვალდებულება სულ	3 933 450	4 539 939
კაპიტალი და ვალდებულება სულ	6 465 037	5 655 109

დირექტორი:



შპს „სტილ კომპანი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

შპს „სტილ კომპანი“ (ს.ნ. 412776483)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
საერთო მოგება			
ამონაგები	4	42 920 261	19 948 413
თვითღირებულება	4	- 40 828 622	-18 936 482
საერთო მოგება/(ზარალი)		2 091 639	1 011 931
საოპერაციო მოგება			
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	5	- 274 297	-106 289
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	-348 293	-108 862
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1 469 049	796 780
არასაოპერაციო მოგება			
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		-9 187	-887
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		1 551	1
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-48 931	-6 725
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1 412 482	789 170
მიმდინარე წლის შედეგი			
მიმდინარე წლის შედეგი		1 412 482	789 170

დირექტორი:



შპს „სტილ კომპანი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

შპს „სტილ კომპანი“, (ს.ნ. 412776483)

ფულადი სახსრების მოძრაობა

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფული	49 772 087	22 335 428
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	-48 142 104	-22 926 637
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	-154 535	-48 000
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	-981 926	450 658
საპენსიო ანარიცხის გადასახადი	-7 885	-2 110
კაპიტალის გაზრდა	0	326 000
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	485 637	135 339
სულ		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	0	-47 660
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	-47 660
სულ		
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები		
სავალუტო ცვლილების ეფექტი	-5833	-886
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	479 804	87 679
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საწყისი ნაშთი	86 793	0
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საბოლოო ნაშთი	566 597	86 793



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სთილ კომპანი“-ი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც დაფუძნდა 2023 წლის 03 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 412776483.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა, #12; გუგუნავას ქუჩა, #10, ნაკვეთი #1-1 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ლითონის სამშენებლო მასალებით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის კომპანიის დამფუძნებელი (100%-ნი წილის მფლობელი) და დირექტორი არის ბორის ბახტაძე კ/ნ 55001005957.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. წარდგენის საფუძველი

- მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.
- ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.
- ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.
- უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები და ნაშთები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.
- კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული

უცხოური ვალუტის კურსები	დოლარი	ევრო
2022	2.7020	2.8844
2023	2.6894	2.9753
2024	2.8068	2.9306

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

3.1 ფინანსური ინსტრუმენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება საღარიბოში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგენილიყო, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. აღნიშნულის მტკიცებულები არ არსებობს, შესაბამისად გაუფასურების ზარალი აღიარება მოგება/ზარალში არ მომხდარა.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

3.2 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე

როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შპს „სტილ კომპანი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

3.3 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით.

3.4 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5 შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

3.6 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს: რეალიზებული საქონლის და პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ ხარჯებს), საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

არასაოპერაციო ხარჯების წარმოიქმნება დანარჩენი (თანმდევ) საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში და მოიცავს: საკუროსო სხვაობის ზარალს, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზენორმიუ დანაკარგებს,

3.7 დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.
- კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

6. პირობითი ვალდებულება

კომპანიას არ გააჩნია პირობითი ვალდებულება/აქტივი.

7. განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება
ძირითადი საშუალებები				
საწყისი ძირითადი საშუალებები	24 375	4 012	11 872	0
ძირითადი საშუალების შემოსვლა	53 388	2 119		37 352
ძირითადი საშუალების გასვლა	0	0	0	0
საბოლოო ძირითადი საშუალებები	77 763	6 131	11 872	37 352
ძირითადი საშუალებების ცვეთა				
საწყისი დაგროვილი ცვეთა	0	194	727	0
ცვეთის დარიცხვა	21 020	979	2 374	3 735
დარიცხული ცვეთის შემცირება	0	0	0	0
საბოლოო დაგროვილი ცვეთა	21 020	1 173	3 101	3 735

2. სასაქონლო-მატერიალური მარაგი:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მზა პროდუქცია და მიმდინარე მარაგი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	2024	2023
გასაყიდად განკუთვნილი მარაგი	4 011 209	3 282 777
სასაქონლო-მატერიალური მარაგი ჯამი	4 011 209	3 282 777

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2024	2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	562 747	64 787
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1 597	21 767
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 253	239
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ჯამი	566 597	86 793

შპს „სთილ კომპანი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

4. ამონაგები და თვითღირებულება

კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდების მიხედვით მიღებული შემოსავლები და ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ამონაგები	2024	2023
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული ამონაგები ჯამი	42 920 261	19 948 413
	42 920 261	19 948 413

თვითღირებულება	2024	2023
თვითღირებულება ჯამი	-40 828 622	-18 936 482

5. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი

საანგარიშო პერიოდის მიხედვით კომპანიას გააჩნია შემდეგი ტიპის მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი

მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	2024	2023
ტრანსპორტირება	(244 490)	(96 817)
რეკლამის ხარჯი	(11 410)	(4 012)
სხვა მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	(18 397)	(5 459)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი ჯამი	(274 297)	(106 340)

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

საანგარიშო პერიოდის მიხედვით კომპანიას გააჩნია შემდეგი ტიპის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2024	2023
ხელფასი	(198 906)	(63250)
კომუნალური გადასახადი	(3 349)	(201)
საპენსიო ანარიცხი	(3 901)	(1349)
ცვეთა	(28 109)	(921)
იჯარა	(70 932)	(31716)
სხვა სამეურნეო ხარჯი	(43 096)	(11388)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი ჯამი	(348 293)	(108825)

8. რისკების მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობის გამო კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს. ძირითადი რისკის ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

• საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

კომპანიას აქვს ზოგიერთი ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად აქვს საკუროსო სხვაობების რისკი. საკუროსო სხვაობები კომპანიას წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო.

• საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი

შპს „სთილ კომპანი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

განპირობებულია თითოეული კონტრაქტორის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ყველა კლიენტის კრედიტუნარიანობა ფასდება ინდივიდუალურად კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადებისა და პირობების შეთავაზებამდე.

- ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ასახავს კომპანიის სირთულეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანია უზრუნველყოფს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის ქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად.